

რეგისტრირებულია
საქართველოს
იუსტიციის სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
080.013.004.296

**საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 15
2000 წლის 22 ივნისი ქ. თბილისი**

**”სადაზღვევო ბროკერთა ანგარიშგების
წესის“ დამტკიცების შესახებ**

”დაზღვევის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 2 მაისის კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესრულების მიზნით, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ”სადაზღვევო ბროკერთა ანგარიშგების წესი“. (თან ერთვის) ;
2. ”სადაზღვევო ბროკერთა ანგარიშგების წესი“ ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ცერცვაძე

სადაზღვევო ბროკერთა ანგარიშგების წესი

მუხლი 1

სადაზღვევო ბროკერთა ანგარიშგების წესი შემუშავებულია ”დაზღვევის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 2 მაისის კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 2

სადაზღვევო ბროკერები ვალდებული არიან საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში ყოველი წლის 1 აპრილამდე წარმოადგინონ გასულ საანგარიშო წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ა) (16.07.2004.N34) სადაზღვევო ბროკერთა ანგარიშგების ფორმა N1 (თან ერთვის).

ბ) საწარმოს ბალანსი;

გ) ანგარიში მოგებისა და მარალის შესახებ;

დ) აუდიტორული დასკვნა გასულ საანგარიშო წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 3 (16.07.2004.N34)

მთავარი ბუღალტერი

ფორმა N1ა
(16.07.2004.N34)

სადაზღვევო ბროკერის დასახელება -----
სადაზღვევო ბროკერის მისამართი -----
შემსრულებლის გვარი, სახელი -----
ტელეფონის ნომერი -----

წარადგენენ სადაზღვევო ბროკერები საქართველოს
დაზღვევის მელამხედველობის სამსახურში საანგარიშო პერიოდის
დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს მომდევნო თვის 25 რიცხვისა

200--წლის

სადაზღვევო ბროკერის 6 თვის ანგარიშგება

N	დაზღვევის სახეობა	დაზღვევის სფეროში განხორციელებული საშუალო საქმიანობა				გადაზღვევის სფეროში განხორციელებული საშუალო საქმიანობა					
		მზღვეველი	ხელშეკრულების რაოდენობა	სადაზღვევო პრემია	მიღებული საკომისიო ანაზღაურება	გადაზღვევი	გადაზღვეველი	ხელშეკრულების რაოდენობა	გადაზღვევის ვესის სახე	გადაზღვევის პრემია	მიღებული საკომისიო ანაზღაურება
ჯამი											

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

ბ.ა

მთავარი ბუღალტერი